პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 187
(6748)
27
1980 წ.
სექტემბერი,
შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

GENS UNA SUMUS

მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩები

სამშობლოს მაღალი ჯილდოები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მაღალი სპორტული მაჩვენებლებისა და ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში მიღწეული წარმატებებისთვის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა 540 სპორტსმენი, მწვრთნელი, ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკი.

ლენინის ორდენით

დიტიატინი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე — სპორტის დამსახურებული ოსტატი, ქ. ლენინგრადი.

კაზანკინა ტატიანა ვასილის ასული — სპორტის დამსახურებული ოსტატი, ქ. ლენინგრადი.

კროვოპუსკოვი ვიქტორ ალექსის ძე — სპორტის დამსახურებული ოსტატი, ქ. მოსკოვი.

მირონოვა ზოია სერგეის ასული — ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის ცენტრალური ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ქ. მოსკოვი.

სედიხი იური გიორგის ძე — სპორტის დამსახურებული ოსტატი, ქ. კიევი.

ოქტომბრის რევოლუციის ორდენით

ბონდარჩუკი ანატოლი პავლეს ძე — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, ქ. კიევი.

კაპიტონოვი ვიქტორ არსენის ძე — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, ქ. მოსკოვი.

მალიშევი ნიკოლოზ ეგორის ძე — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, ქ. ლენინგრადი.

პავლოვი სერგეი პავლეს ძე — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

ხანეევი ვიქტორ დანილის ძე — სპორტის დამსახურებული ოსტატი, ქ. თბილისი.

შახმურადოვი იური ავანესის ძე — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, ქ. მოსკოვი.

შრომის წითელი დროშის, ხალხთა მეგობრობის, „საპატიო ნიშნის“, შრომის დიდების III ხარისხის ორდენებით დაჯილდოებულთა შორის ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც არიან:

ხალხთა მეგობრობის ორდენით

ლოსაბერიძე ქეთევან ბაგრატის ასული — თბილისელი სპორტის დამსახურებული ოსტატი, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი მშვილდოსნობაში.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით

ბუნგა საიდა კაპასის ასული — თბილისელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, მოსკოვის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი შუბის ტყორცნაში.

პერტენავა დავით ალექსანდრეს ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

ხაბარელი შოთა დიმიტრის ძე — თბილისელი სპორტის დამსახურებული ოსტატი, XXII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ძიუდოში.

შრომის დიდების III ხარისხის ორდენით

კეკელაშვილი ნადეჟდა ზაქარიას ასული — თბილისის სპორტნაწარმის ექსპერიმენტული ფაბრიკის გამომჭრელი.

* * *

გუშინ რედაქცია ტელეფონით დაუკავშირდა ოლიმპიურ ჩემპიონს, თბილისის უნივერსიტეტის ზოგადი მათემატიკის კათედრის ლაბორანტს ქეთევან ლოსაბერიძეს და მთავრობის მაღალი ჯილდო მიულოცა.

— სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მთავრობის ორდენებითა და მედლებით საბჭოთა სპორტსმენების, სპორტულ მუშაკთა დიდი ჯგუფის დაჯილდოების შესახებ, ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის შეუნელებელი ზრუნვის მორიგი გამოხატულებაა, ეს არის დაფასება XXII ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა სპორტსმენების ბრწყინვალე გამარჯვებისა, რაც ყველას გვავალებს კიდევ უფრო მაღლა ავწიოთ საბჭოთა სპორტის დროშა, ჩვენი წვლილი შევიტანოთ სკკპ XXVI ყრილობის ღირსეულად შეხვედრის საქმეში. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს სიხარულს იზიარებს ყველა ჩემი მეგობარი, მშვილდოსნობის ყველა მოყვარული, ისინი, ვისაც სჯეროდა, რომ მოსკოვის ოლიმპიადიდან ხელცარიელი არ დავბრუნდებოდი. ხალხთა მეგობრობის ორდენი, რომელიც მე მომეკუთვნა, ქვეყნის ნაკრების უფროსი მწვრთნელის არსენ ბალოვის დიდი დამსახურებაცაა.

ოთხი ოლიმპიადის გმირმა, სამმხტომელმა ვ. სანეევმა ჩვენს მილოცვაზე კმაყოფილებით გვიპასუხა:

— ყველა სიკეთე სპორტმა მომცა, ეს ჩემი დაუღალავი შრომის მორიგი დაფასებაა, მეოთხე ორდენია, რომელიც სპორტულ სარბიელზე მოპოვებული წარმატებებისთვის მომენიჭა. ამ მორიგი ჯილდოს პასუხად გადაწყვეტილი მაქვს მთელი ჩემი სიცოცხლე სპორტს მოვახმარო, ცოდნა და გამოცდილება გადავცე მომავალ თაობებს...

— მთავრობის ჯილდოები ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს ახალი ზღუდეების დაპყრობისკენ მოგვიწოდებს. ახალგაზრდებს ბევრი რამ წინ გვაქვს. მომავალშიც ვეცდებით უფრო შორს გავიტანოთ საბჭოთა სპორტის დიდება, — ასეთი იყო შ. ხაბარელისა და ს. ბუნგას სამადლობელი სიტყვების შინაარსი, როცა მათ მთავრობის ჯილდოები მივულოცეთ.

ეჭვი არ გვეპარება, რომ საქართველოს სპორტსმენები მათი გარჯის ამ დაფასებას შრომასა და სპორტში ახალი წარმატებებით უპასუხებენ.

თბილისი

გუშინ

გათამაშდა ნ. გაფრინდაშვილი — ნ. იოსელიანის ძირითადი მატჩის დასკვნითი, X პარტია. 37-ე სვლაზე გაიმარჯვა იოსელიანმა. ამრიგად, შეხვედრის ანგარიშია 5:5. ახლა მეტოქეებმა დამატებითი მატჩი (ორი პარტია) უნდა ითამაშონ. 28 სექტემბერს გაიმართება პირველი პარტია, თეთრებით გაფრინდაშვილი იქნება.

ვილნიუსი

23 სექტემბერს შედგა გადადებული VI და VII პარტიების დამთავრება.

გთავაზობთ ამ პარტიების დაბოლოებებს.

მეექვსე პარტია

ნ. ალექსანდრია (თეთრები): მფf2, ეe2, კe3, პპ. a2, d5, e4, g4, h5.

მ. ლიტინსკაია (შავები): მფd7, ეa3, კe5, პპ. b5, c7, d6, f7, g7, h6.

41. ... ეc3 (ჩაწერილი სვლა) 42. ეe1 c5 43. dc+ მფ:c6 44. მფf3 g5 45. hg fg 46. ეh1 g5 47. მფe2 ეc2+ 48. მფd3 ე:a2 49. ე:h6 ეa3+ 50. მფd2 b4 51. კ:g5 b3 52. ეh1 b2 53. მფc2 ეg3 54. კd2 ე:g4 55. ეe1 ეg2 56. მფd3 მფb5 57. ეd1 მფa4 58. მფc4 მფa3 (თუ 58. ... ე:d2, მაშინ 59. ეa1+!! baლ და პატია) 59. კb4+ მფa2 60. კ:d6 ეc2+ 61. მფd5 კc3 62. კf4 b1ლ 63. ე:b1 მფ:b1 64. e5 ეf2 65. კg3 ეf3 66. კh2 მფc2 67. e6 კb4 68. კe5 ეe3 69. კd4 ეe2 70. კf6 მფb3 71. კg5 მფa4 72. კf6 მფb5. თეთრები დანებდნენ.

მეშვიდე პარტია

მ. ლიტინსკაია (თეთრები): მფh4, ლb7, პპ. a4, e3, g2, h3.

ნ. ალექსანდრია (შავები): მფh6, ეa1, მf6, პპ. b6, g7.

41. ლc6 (ჩაწერილი სვლა) 41. ... ეb1 42 მფg3 ეb4 43. მფf3 მფh7 44. e4 ეb3+ 45. მფf4 მh5+ 46. მფg5 მg3 47. e5 ეb4 48. e6 ეe4 49. ლd6 ეe3 50. ლ:b6 მe4+ 51. მფf4. შავები დანებდნენ.

ამრიგად, დაწინაურდა მ. ლიტინსკაია — 4:3.

დღეს უნდა გაიმართოს VIII პარტია.

რთველი-80



ზვრებში— ჩემპიონები

საქართველოს სპორტკომიტეტის ოპერატიული შტაბი მოქმედებაში

რესპუბლიკის ზვრებში შემოდგომა რომ შემოაბიჯებს, ამბობენ — ყველაზე საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვანი ეტაპი დადგაო. რასაკვირველია, ეს მარტო მევენახეთა მისამართით არაა ნათქვამი — ჩვენში რთველი საერთო-სახალხო საქმედაა მიჩნეული და როცა მთელი წლის ნაშრომ-ნაამაგარის დაბინავების ჟამი დგება, ქუდზე კაცი გამოდის და შრომის ამ დიდ ფერხულში თითქმის მთელი რესპუბლიკა მონაწილეობს.

ამ კარგ ტრადიციას აგრძელებენ საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციები, ფიზკულტურელები და სპორტსმენები, რომლებიც ამ გადამწყვეტ დღეებში მევენახეთა მხარდამხარ დგებიან და თავიანთი წვლილი

(დასასრული მე-2 გვ.).

საქართველოს მევენახეები წლეულს სარეკორდო მოსავლისთვის — 770 ათასი ტონა ყურძნისთვის იბრძვიან. სოფლის მშრომელთა მხარდამხარ ზვრებში რესპუბლიკის წარმოება-დაწესებულებათა ბრიგადებიც შრომობენ. გუშინწინ საქართველოს სპორტკომიტეტის სპეციალური ბრიგადა გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყს ეწვია და აქტიური მონაწილეობა მიიღო რთველში.

სურათებზე: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე დ. პერტენავა ქართველ ოლიმპიურ ჩემპიონ ქალებთან ქ. ლოსაბერიძესთან და მ. ჯუღელთან ერთად რთველში; ბრიგადის წევრთა საქმიანობის მომენტი (მარჯვნივ).

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთველი—80

ზვრებში - ჩემპიონები

დასასრული

შეაქვთ სამშობლოს ხვავისა და ბარაქის გამრავლებაში.

საქართველოს სპორტკომიტეტში საკმაო ხანია მოქმედებს კახეთის მევენახეთა დახმარების ოპერატიული შტაბი, რომელსაც რესპუბლიკის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე დ. პერტენავა უდგას სათავეში, შემუშავებულია სპეციალური ბრიგადების გეგმა-გრაფიკი.

და აი, გამოჩენილი სპორტსმენების, სპორტკომიტეტის თანამშრომლებისა და უმაღლესი სპორტული დაოსტატების ჭიდაობის რესპუბლიკური სკოლის მსმენელებისაგან შედგენილი 25-კაციანი ბრიგადა გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობას ეწვია.

— ჩვენი კოლმეურნეობა სახელმწიფოს 7500 ტონა ყურძენს მიჰყიდის, — უთხრა სტუმრებს ჩუმლაყის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, ლენინის ორი და ოქტომბრის რევოლუციის ორდენების კავალერმა გ. უტიაშვილმა, — დავალებას პირნათლად ვასრულებთ და სასიამოვნოა, რომ ამ საქმეში რესპუბლიკის სპორტკომიტეტიც ამოგვიდგება მხარში.

რთველში საქართველოს სპორტკომიტეტის ხელმძღვანელ მუშაკებთან ერთად მონაწილეობდნენ ოლიმპიური ჩემპიონები მ. ჯუღელი, ქ. ლოსაბერიძე, შ. ხაბარელი, ევროპის ჩემპიონი და ოლიმპიური პრიზიორი სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. მინაშვილი, სპორტის ოსტატები მ. სახვაძე, ა. შენგელია, თ. საჯაია, გ. იაშვილი, მ. ზურციძე, შ. შალამბერიძე, ა. მარტიაშვილი და სხვები.

ბრიგადის წევრებმა ჩუმლაყის მევენახეთა მხარდამხარ იშრომეს ზვრებში და დღიურ ნორმას საგრძნობლად გადააჭარბეს.

საშეფო მუშაობა გრძელდება. ფიზკულტურული მუშაკებისა და სპორტსმენთა ბრიგადები გურჯაანის რაიონის სხვა სოფლებსაც ეწვევიან.

ა. კოტორაშვილი.

სურათებზე: მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი შ. ხაბარელი მანქანაზე ტვირთავს ბრიგადის წევრების მიერ მოკრეფილ ყურძენს; შრომის შემდეგ — საქართველოს სპორტკომიტეტის მუშაკები წარსულში სახელოვანი სპორტსმენები გ. მინაშვილი (მარჯვნივ) და მ. სახვაძე; საღამოს სტუმარ-მასპინძლები სახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან შეხვდნენ ერთმანეთს — მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ქ. ლოსაბერიძე ბარაქიან შემოდგომას უსურვებს ჩუმლაყელებს.

ავტორის ფოტოები.

დამკვრელურ მშენებლობათა სპორტული სიმაღლეები

ბელგოროდი. საკავშირო კომკავშირულ-დამკვრელურ მშენებლობათა მეორე სპარტაკიადის ეტაპებზე ნახევარმილიონმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. 23 სექტემბერს ბელგოროდმა, სადაც გაიმართა ფინალური სტარტები, გულთბილად გააცილა გამარჯვებულები და სტუმრები ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებისკენ.

აქ პირველობისთვის ერთმანეთს 20-ზე მეტი გუნდი ეცილებოდა. საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და პროფკავშირთა საკავშირო საბჭოს გარდამავალი პრიზი ახლაც, როგორც წინა სპარტაკიადაზე, დაისაკუთრა „სარატოვწყალმშენის" კოლექტივმა, რომელმაც მშთ კომპლექსის პროგრამის 5 სახეობაში 1207 ქულა მოაგროვა. ამ კოლექტივის წევრებმა ლ. კოდირკოვამ, ტ. რებლინამ, ვ. ნიკიფოროვმა და ა. ლუკაშოვმა თავიანთ ასაკობრივ ჯგუფებში სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვეს პირად ჩათვლაში.

საერთო გუნდური II ადგილი დაიკავეს ბელორუსიის მელიორატორებმა, მესამეზე გავიდნენ ლებედინსკის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მშენებლები. მათ მოიპოვეს, აგრეთვე, სპორტსაზოგადოება „ტრუდის" ცენტრალური საბჭოს სპეციალური თასი სპორტის მასობრიობაში უკეთესი მაჩვენებლებისთვის.

შეჯიბრების პროგრამაში შედიოდა 100 მეტრზე რბენა, ყუმბარის ტყორცნა, ცურვა, მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლა და მძლეოსნური კროსი. ე. ი. ისეთი სახეობები, რომლებიც აუცილებელია ყველა ადამიანისთვის, განსაკუთრებით დამკვრელური მშენებლობების მონაწილეთათვის, რომელთაც პროფესიულ ოსტატობაზე ნაკლებ როდი ჭირდებათ წრთობა, გამძლეობა, ძალა.

სპარტაკიადის მონაწილეებმა შეიძინეს დამკვრელურ მშენებლობებზე ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების მდიდარი გამოცდილება. ამაში მათ დიდად დაეხმარა კლუბი „ოლიმპია", რომელიც შეჯიბრების დღეებში ბელგოროდში შეიქმნა. აქ ისინი ერთმანეთს უზიარებდნენ გამოცდილებას, თავიანთ გეგმებს. შეხვდნენ სახელოვან საბჭოთა სპორტსმენებს ი. როდნინასა და ბ. ლაგუტინს, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირს მფრინავ-კოსმონავტს ვ. ბიკოვსკის.

საკავშირო კომკავშირულ-დამკვრელურ მშენებლობათა მორიგი, მესამე სპარტაკიადა გაიმართება 1982 წელს ამურის კომსომოლსკში ამ ქალაქის დაარსების 50 წლისთავის ზეიმის დღეებში.

(საქდესი).

დაუნდობელი ბრძოლა - უხეშობას

ტრავმების ზოგიერთ თავისებურებათა შესახებ უმაღლესი ლიგის ფეხბურთელებს შორის

სათამაშო და საწვრთნელ დატვირთვათა მოცულობის მომატებასა და გაზრდილ ნერვულ-ფიზიკურ დაძაბულობასთან დაკავშირებით ტრავმათა სიხშირე ფეხბურთელებს შორის თანდათან მატულობს. პროცენტული მაჩვენებლებით ფეხბურთი ჰოკეის გვერდით დგას პირველ ადგილზე: დაზიანებათა კოეფიციენტი ჰოკეიში 4,3-ია, ფეხბურთში — 4,1.

ეს მონაცემები, თითქოს, არც თუ ისე შემაშფოთებელია, მით უმეტეს, რომ დაზიანებათა ხასიათი ძირითადად მსუბუქია, მაგრამ ფეხბურთის დიდი მასობრიობის გამო ტრავმათა აბსოლუტური რიცხვი სპორტის სხვა სახეობებთან შედარებით მაღალია. გარდა ამისა, მსუბუქი ტრავმები არასასურველი შედეგებით ხასიათდება, სპორტსმენის ორგანიზმში იქმნება პრეპათოლოგიური მდგომარეობა და მზადდება ხელსაყრელი პირობები უფრო სერიოზული ხასიათის ტრავმის წარმოშობისთვის.

ფეხბურთში ტრავმულ დაზიანებათა გამომწვევ მიზეზებს შორის ბოლო ხანებში წამყვანი ადგილი დაიკავა უხეშობამ, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამომდინარეობს ზოგიერთი უხეირო მწვრთნელის დავალებიდან თავისი სპორტსმენებისადმი: „რაც შეიძლება ძლიერად ურტყი, დაეჯახე..."

ამას ემატება ზოგიერთი არაკვალიფიციური, მიკერძოებული მსაჯის წაყრუებაც. და ეს ვაიფეხბურთელები „პირნათლად" ასრულებენ დავალებებს, იწყებენ „ნადირობას" საუკეთესო მოთამაშეებზე.

ტრავმათა წარმოშობის მიზეზებში უხეშობასთან ერთად წინა პლანზე წამოიწია მაქსიმალური დატვირთვებით დღეში ორ და სამჯერადმა წვრთნამ, მათ შორის ოპტიმალური ინტერვალების დარღვევით, როდესაც განმეორებითი ვარჯიშები სისტემატურად ემთხვევა კუნთოვანი მუშაობის აღდგენამდელ I და II ფაზებს.

უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა შორის ტრავმათა გამომწვევი მიზეზების გამოვლენის მიზნით ჩვენ შევისწავლეთ თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ბოლო 3 წლის მონაცემები. როგორც დადგინდა, ტრავმების უმეტესობა მოსამზადებელი პერიოდის მეორე ნახევარშია — თებერვალი-მარტი (25,7 პროცენტი), როცა საწვრთნელი მუშაობა წარმოებს დღეში ორ-სამჯერ, მაქსიმალური დატვირთვით, ზოგჯერ — არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში — წვიმა, ქარი, თოვლი, ყინვა.

ჩვენს მიერ აღრიცხული ტრავმებიდან სიმძიმის მიხედვით მსუბუქი ხარისხისაა 83,3 პროცენტი, საშუალო ხარისხისა — 1,5, ხოლო მძიმე — 1,7 პროცენტი. მაგრამ მძიმე ტრავმათაგან 75 პროცენტი მოდის ძირითადი შემადგენლობის მაღალკვალიფიციურ სპორტსმენებზე (გუცაევი, ხინჩაგაშვილი, ყიფიანი, ჩივაძე, დარასელია, კოსტავა). საგულისხმოა ის ფაქტი, რომ თითოეულ სპორტსმენზე წელიწადში 10-დან 12-მდე ტრავმაა აღრიცხული, რაც იწვევს მიკროტრავმულ დაავადებებს, რომლებიც წარმოადგენს შემდგომში უფრო სერიოზულ დაზიანებათა საფუძველს.

ასეთ შემთხვევაში განმეორებითი ტრავმები, რაც წამყვან სპორტსმენთა შორის 15 პროცენტს უდრის, იწვევს ადრინდელ ნარჩენ პათოლოგიურ მდგომარეობათა გამწვავებებს: ართროზებს, ტენდინიტებს, პერიოსტიტებს, პერიართრიტებს, რადიკულიტებს და სხვ.

ყველაფერი ეს აქვეითებს სპორტსმენთა შრომისუნარიანობას და საწვრთნელ მეცადინეობათა გაცდენების მიზეზი ხდება. ასე, მაგალითად, 1979 წლის განმავლობაში თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებმა ამ მიზეზით 528 მეცადინეობა გააცდინეს, რამაც გუნდის შედეგებს გარკვეული დაღი დააჩნია.

აღსანიშნავია, რომ სპორტულ დაზიანებათა მიმდინარეობას მეორე მნიშვნელოვანი მხარეც აქვს, კერძოდ: ექსპრესდიაგნოსტიკის დროული და სწორი პირველი დახმარების, საბოლოო დიაგნოზის დადგენის, შემდგომ ეტაპებზე სრული რეაბილიტაციამდე კომპლექსური და თანმიმდევრობითი მკურნალობის სრულყოფილი ჩატარება, რაც არც თუ ისე იშვიათად გართულებულია ტრავმათა დაგვიანებით გამოვლენის შემთხვევებში.

ეს კი გამოწვეულია შეჯიბრების დროს სპორტსმენის ფსიქიკის მაქსიმალური დაძაბულობით, რის გამოც იგი ვერ ამჩნევს და არც აძლევს მნიშვნელობას შედარებით მსუბუქ დაზიანებებს. როგორც წესი, ასეთ შემთხვევებში ფეხბურთელი ექიმს მიმართავს მატჩის დამთავრებისას, ან მეორე დღეს, ან სრულებითაც არა. ბევრი ტრავმა კი არ რჩება უკვალოდ, — ხანგრძლივი ან მუდმივი ფუნქციონალური და ორგანული დარღვევების მიზეზი ხდება. ამგვარი არასასურველი შორეული შედეგების საშიშროება, ბუნებრივია, მეტწილ შემთხვევებში მოითხოვს სპორტსმენების თამაშებიდან მოხსნას, მაგრამ საქმე ის არის, რომ თამაშებიდან ფეხბურთელის მოხსნა შეზღუდულია. ამას თუ მივუმატებთ იმასაც, რომ სპორტსმენთა რეაქცია თამაშის პროცესში მიღებულ ტრავმაზე მკვეთრად ინდივიდუალურია (ფსიქიკურ დაძაბულობათა გამო), რთულდება ჩვენი მოთხოვნების შესრულება.

ტრავმირებული სპორტსმენისთვის მინდორზე, თამაშის პროცესში სამედიცინო დახმარების გაწევა გარკვეული სიძნელეებით ხასიათდება. ექიმმა ფართო აუდიტორიის თვალწინ, ფსიქიურად აგზნებულ, სტრესულ მდგომარეობაში ჩავარდნილ სპორტსმენს, რომელთანაც კონტაქტის დაჭერა არც თუ ისე იოლია, წამების განმავლობაში უნდა დაუსვას დიაგნოზი და მიიღოს გადაწყვეტილება — შეძლებს თუ არა იგი თამაშის გაგრძელებას. ყოველივე ამის გამო ექიმი შეზღუდულია სრულყოფილი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინოს მინდორზე ტრავმირებულ სპორტსმენს, ამიტომაც იგი ვალდებულია გულდასმით უთვალთვალებდეს თამაშის პროცესს და მომხდარ ყოველ შემთხვევას, რათა სწრაფად განსაზღვროს შესაძლო დაზიანება.

სპორტსმენთა უჩვეულო ფსიქიური განწყობით აიხსნება ის გარემოება, რომ გამარჯვების შემთხვევაში ან ანგარიშში დაწინაურებისას, ტრავმათა შემთხვევების მიუხედავად, ექიმისადმი მიმართვა მინიმუმამდეა დაყვანილი. ამ შემთხვევაში სპორტსმენები ვერც კი ამჩნევენ ტრავმებს.

მეორე შემთხვევაში, წარუმატებლობისას, მსუბუქ დაზიანებათა დროსაც კი თხოულობენ გადაუდებელ დახმარებას. რა თქმა უნდა, დიდი შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ ამ დროს ადგილი აქვს სიმულაციას. ეს სხვა არაფერია თუ არა დათრგუნული ფსიქოლოგიური მდგომარეობით გამოწვეული თავის გამართლების ცდა.

როგორც აღვნიშნეთ, სპორტსმენის ფსიქიკაზე მოგებისა თუ წაგების თავისებური გავლენა ართულებს ექიმის მდგომარეობას სწორი დიაგნოზის დასმაში, ამიტომ, როგორც წესი, თამაშის მეორე დღეს საჭიროა ექიმმა მოახდინოს მოთამაშეთა სავალდებულო გასინჯვა.

ჩვენი მონაცემებით, ტრავმები ფეხბურთელთა შორის სახეობათა მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: დაჟეჟილობები — 46,1 პროცენტი, კუნთებისა და სახსრების დაზიანებანი — 14,4, წვივის დაზიანებანი — 18,1, კოჭ-წვივის სახსრებისა — 16, მუხლის სახსრისა — 11,2 და ა. შ.

ძირითადი შემადგენლობის თითოეული მოთამაშის ყოველი ტრავმა განსაკუთრებით რთულ მდგომარეობას ქმნის გუნდში. ამიტომ დღის წესრიგში დგება ძალზე შემცირებულ ვადებში სპორტსმენის მწყობრში ჩაყენება, ეს კი მოითხოვს მაღალ დონეზე სამედიცინო მომსახურებისა და ფართო პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ჩატარებას.

საჭიროა თანამიმდევრობით კომპლექსური ეტაპობრივი ინტენსიური მკურნალობა სპორტსმენის შრომისუნარიანობის სრულ აღდგენამდე.

დაზიანებათა უმრავლეს შემთხვევაში (78%), გადაუდებელი დახმარების პირველი ეტაპი მინდორზე წარმოებს და ძირითადად ქლორეთილით გაყინვით გაუტკივარებაში გამოიხატება. ჩვენი აზრით, ეს ანესთეზიურ მოქმედებაზე უფრო ფსიქოთერაპიული ეფექტით ხასიათდება. აქვე უნდა კეთდებოდეს დაზიანებული ადგილის იმდაგვარი მობილიზაცია, რომ სპორტსმენს შეეძლოს თამაშის შემდგომი გაგრძელება.

პირველსავე ეტაპზე ხდება ჭრილობათა დამუშავება. სახის მიდამოში შედარებით მცირე ზომის ნახეთქ-ჭრილობას „ვკერავთ" სტერილიზებული ლეიკოპლასტირით, რა თქმა უნდა, დაზიანებული ადგილის გულდასმითი დამუშავების შემდეგ. ჩვენი დაკვირვებით, ნაკლებ ეფექტურია სხვადასხვა სახის წებოთი ჭრილობათა დაწებება, რასაც ბევრგან მიმართავენ ხოლმე.

პირველი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შემდგომი მკურნალობა უნდა წარიმართოს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტული მედიცინის კათედრის მიერ შემუშავებული ეტაპობრივი სავალდებულო მკურნალობის სქემის შესაბამისად, რაც სწორ ინფორმაციას მოგვცემს მკურნალობაში დაშვებულ ზოგიერთ უზუსტობაზე და ხელს შეუწყობს შემდგომი მკურნალობის ბოლომდე მიყვანას წვრთნის გარდამავალ პერიოდში ბალნეოლოგიურ-კურორტოლოგიური მკურნალობის ჩართვით.

ზ. თელია,
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტული მედიცინის კათედრის გამგე, დოცენტი.

● კალათბურთი ● უმაღლესი ლიგა

ჩემპიონატი სტარტს იღებს

7 ოქტომბერს სტარტს აიღებს საბჭოთა კავშირის მორიგი, 48-ე ჩემპიონატი უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდებს შორის.

პირველი და მეორე წრის შეხვედრები მიმოსვლით ჩატარდება. I-VI ადგილებზე გასული გუნდები მედლებისთვის გადამწყვეტ ბრძოლაში ჩაებმებიან და მესამე და მეოთხე წრის ტურებში შეხვდებიან ერთმანეთს. შეჯიბრებები ჩატარდება: 8-14 თებერვალს კიევში და 8-14 მარტს მოსკოვში, რაც შეეხება VII-XIII ადგილებზე გასულ გუნდებს, ისინი შესაბამის ადგილებს ორ წრედ გაითამაშებენ.

თბილისის „დინამო“, წინა ჩემპიონატის დამთავრებისთანავე, მომდევნო პირველობისთვის მზადებას შეუდგა. გუნდმა შეკრება დაბა ლესელიძეში გაიარა, თბილისში დაბრუნების შემდეგ კი გააგრძელა ინტენსიური ვარჯიში. გუნდიდან წავიდა სპორტის დამსახურებული ოსტატი მ. ქორქია, სხვა ცვლილებები არ მომხდარა.

მწვრთნელებმა აქცენტი ძირითადად ახალგაზრდებზე გადაიტანეს. 48-ე ჩემპიონატში მოედანზე სულ უფრო ხშირად ვიხილავთ ახალგაზრდა პერსპექტიულ კალათბურთელებს: ვ. ძიძიგურს, კ. ჯორჯიკიას, შ. სინჯარაძეს, რ. გარუჩავას, ი. ბოროდაჩევსა და სხვებს, რომლებიც ამჟამად გუნდის სხვა წევრებთან ერთად საკონტროლო მატჩების ჩასატარებლად მინსკში იმყოფებიან. აქ ისინი მონაწილეობენ ბელორუსიის სპორტკომიტეტის პრიზის გათამაშებაში. ეს ასპარეზობა მწვრთნელებს საშუალებას მისცემს ერთხელ კიდევ გამოსცადონ ახალგაზრდები.

გუნდი მინსკში ძირითადი შემადგენლობით გაემგზავრა. ავადმყოფობის გამო შინ დარჩნენ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ოლიმპიური თამაშების პრიზიორი ნ. დერიუგინი და ახალგაზრდა პერსპექტიული მცველი გ. დარსაძე.

თ. ჭეიშვილი.

● ჭადრაკი

კარპოვის ორი მოგება

ტილბურგის დიდოსტატთა საერთაშორისო შეჯიბრებაში IV და V ტურების შეხვედრები მოეწყო.

ჩინებულად იბრძოდა მსოფლიო ჩემპიონი ა. კარპოვი, რომელმაც დაამარცხა ჯერ ი. ტიმანი (ჰოლანდია), მერე პრეტენდენტთა ფინალური მატჩის მონაწილე რ. ჰიუბნერი. იგი ბ. სპასკისთან ერთად ლიდერობს ასპარეზობას. თითოეულს 3,5 ქულა აქვს. IV ტურში სპასკი დაუზავდა ლ. პორტიშს, V ტურში დაამარცხა ზ. რიბლი (ორივე — უნგრეთი).

წაიფორხილა ბ. ლარსენმა (დანია), რომელმაც III ტურში კარპოვს მოუგო — დანიელმა დიდოსტატმა ზედიზედ წააგო რიბლისთან და ტიმანთან.

ყაიმით დამთავრეს შეხვედრები მ. ტალმა — ლ. კავალეკთან (აშშ) და უ. ანდერსონთან (შვეცია), ვ. ჰორტმა (ჩეხოსლოვაკია) — ანდერსონთან და პორტიშთან.

ლიდერებს კვალში მიჰყვება პორტიში — 3, რომელსაც ტალი ნახევარი ქულით ჩამორჩება.

ფესტივალ „როსიას“ ფინიში

სოჭში დამთავრდა ფესტივალ „როსიას“ პროგრამით მიმდინარე საერთაშორისო ტურნირი.

ქალთა შორის შესანიშნავი შედეგით — 12,5 ქულა 15-დან, გაიმარჯვა დიდოსტატმა ე. ახმილოვსკაიამ. II ადგილზე გავიდა დიდოსტატი ე. ფათალიბეკოვა, III — ოსტატი ა. გრინფელდი.

ვაჟთა ტურნირში I ადგილი მოიპოვა ჩელიაბინსკელმა ოსტატმა ა. პანჩენკომ, რომელიც დასკვნით, XV ტურში ი. ვან დერ ვილს (ჰოლანდია) დაუზავდა და საერთო ჯამში — 10,5 ქულა მოაგროვა. მისი დაწევა მხოლოდ ფილიპინელ დიდოსტატ ე. ტორეს შეეძლო, მაგრამ სტუმარი დამარცხდა ჩელიაბინსკელ დიდოსტატ ე. სვეშნიკოვთან და 9,5 ქულით მხოლოდ III ადგილზე გავიდა. II ადგილი ხვდა მოსკოველ დიდოსტატ ი. ბალაშოვს — 10.

თელავი მასპინძლობს

თელავი, 26 სექტემბერი, (ჩვენი კორ.). აქ მუსიკალური სასწავლებლის საკონცერტო დარბაზში გაიხსნა „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს მოჭადრაკე ვაჟთა ტრადიციული ჩემპიონატი.

სტუმრებს მიესალმნენ „ბურევესტნიკის“ ცენტრალური და რესპუბლიკური საბჭოების წარმომადგენლები, თელაველთა სახელით რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ა. სახიევი, პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრების გამგეები ნ. კაციტაძე და გ. შიუკაშვილი.

ჩემპიონატის 16 მონაწილეს შორის 9 სპორტის ოსტატია: ა. ბანძა (ლვოვი), ვ. კიმი (ნოვოსიბირსკი), ა. კოზლოვი, ვ. ფაიბისოვიჩი (ორივე — ლენინგრადი), ს. ტროფიმოვი, ე. პიგუსოვი (ორივე — კემეროვო), ნ. ანდრიანოვი, ვ. ზლოტკინი (ორივე — მოსკოვი) და უ. მაგერამოვი (ბაქო).

საქართველოს ღირსებას იცავს თბილისელი ოსტატობის კანდიდატი ვ. ვეფხვიშვილი.

გ. ელიოზიშვილი,
ჩემპიონატის მსაჯი.

● შაში

სასარგებლო შეჯიბრება

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა ოსტატებისა და ნიჭიერი ახალგაზრდების შეჯიბრება გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ პრიზებზე.

საბოლოო შედეგები ასეთია: ა. ბერუაშვილი 20,5 ქულა 24-დან, ს. პახლაჯიანი — 20,5 (კოეფიციენტთა ცხრილით მას უარესი მაჩვენებელი აქვს), ვ. ნინუა — 20, რ. ქერდიკოშვილი — 18, მ. მოსიძე — 12,5.

ახალგაზრდებიდან ყველას აჯობა თბილისის 102-ე სკოლის მოსწავლემ, 11 წლის პირველთანრიგოსანმა ჯ. ბერიშვილმა (მწვრთნელი ს. შავერდიანი) — 6,5 ქულა 10-დან. II-III ადგილები გაიყვეს ნ. სვანიშვილმა (140-ე სკოლა) და გ. პოპოვმა (98-ე სკოლა) — 3,5-3,5 ქულა.

სპეციალისტების აზრით შეჯიბრებამ ნიჭიერი, პერსპექტიული ახალგაზრდები გამოავლინა. პრიზიორებს გარდა აღსანიშნავი არიან პ. ენუქიძე (31-ე სკოლა), ა. შიპოვი (63-ე სკოლა), ხოლო გოგონათაგან მედეა ბეთანელი, ირმა ბექაშვილი და დალი საკიძე.

— შეჯიბრება, რომელიც თბილისელთათვის გავმართეთ, სასარგებლო აღმოჩნდა. ვფიქრობთ მომავალში რესპუბლიკის ახალგაზრდები მივიზიდოთ, რაც უდავოდ ხელს შეუწყობს შაშის შემდგომ პოპულარობას და ნიჭიერი ყმაწვილების გამოვლინებას, — გვითხრა საქართველოს შაშის ფედერაციის თავმჯდომარემ, გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორმა ჯ. ნინუამ.

ვ. ინწკირველი,
შეჯიბრების მსაჯი, საქართველოს შაშის ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი.

ჩემპიონს გაასწრეს

ვილნიუსში მიმდინარეობს სსრ კავშირის ქალთა VI ჩემპიონატი ასუჯრიან შაშში. მონაწილეებმა უკვე განვლეს ასპარეზობის მესამედი.

5 ტურის შემდეგ დაწინაურდა ხარკოველი ა. აგრანოვსკაია — 4,5 ქულა. ს. საკალაუსკაიტეს (ვილნიუსი), ი. პაშკევიჩს (მინსკი), ს. გეილერს (ნიჟნი ტაგილი) — 4-4 ქულა აქვთ, ლ. შაუსს (ვილნიუსი), ა. ბრონხუნოვას (მოსკოვი) და რ. ვიტკაუსკაიტეს (ვილნიუსი) — 3-3.

V ტურში აგრანოვსკაიამ საკალაუსკაიტე დაამარცხა. პირველი გამარჯვებები მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონმა ე. ალტშულმა (მინსკი) ბრონხუნოვასთან და ო. ლევინამ (ხარკოვი) — თ. შულმინასთან (ნიჟნი ტაგილი) შეხვედრაში.

გაზეთ „ტრუდის“ პრიზებზე

კიდევ ბევრი ბარჯა მართებთ

მეცხრე წელია ჩვენს ქვეყანაში შემოღებულია მშთ ახალი კომპლექსი, რომელიც სულ უფრო მეტ პოპულარობას იძენს ყველა ასაკის ადამიანებში. იგი გადაიქცა ჯანმრთელობის უშრეტ წყაროდ. ყოველწლიურად „ვერცხლისა“ და „ოქროს“ ნიშნებზე კომპლექსის ყველა საფეხურის მოთხოვნებს ასიათასობით მშრომელი და მოსწავლე აბარებს.

მშთ კომპლექსის მრავალჭიდის პოპულარობის დასტურია გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზებზე საკავშირო ჩემპიონატების ჩატარება, რომელთაც რიგ-რიგობით ქვეყნის სხვადასხვა ქალაქი მასპინძლობს.

ამ კომპლექსის ღონისძიებათა კალენდარს კიდევ ერთი ასპარეზობა შეემატა — გაზეთ „ტრუდის“ რედაქციის თაოსნობით პროფკავშირული სპორტსაზოგადოებებისა და მათ მომსახურებაში შემავალი კოლექტივების მშრომელთათვის რეგულარულად ეწყობა რესპუბლიკური და საკავშირო შეჯიბრებები.

ამ დღეებში თბილისში გაიმართა საქართველოს პროფკავშირების სპორტსაზოგადოებების მორიგი პირველობა „ტრუდის“ პრიზებზე. ტურნირის პოგრამაში მრავალჭიდის გარდა შედიოდა კონკურს-დათვალიერება — რა დონეზეა კოლექტივებში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის პროპაგანდა.

პროპაგანდის დათვალიერების შესახებ შთაბეჭდილება გაგვიზიარა საქართველოს პროფსაბჭოს საწარმოო ტანვარჯიშისა და მშთ კომპლექსის დანერგვის მეთოდკაბინეტის გამგემ **დ. კიწურაშვილმა.**

— კონკურს-დათვალიერებისთვის მასალები მხოლოდ ვარკეთილის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ და თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების სპორტკლუბმა „სინათლემ“ წარმოადგინა. მარტო ეს ფაქტი ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ რესპუბლიკის ასობით დიდი საწარმოს ფიზკულტურული ორგანიზაცია სათანადო ყურადღებას არ უთმობს კოლექტივებში ფიზკულტურისა და სპორტის ამსახველ პროპაგანდას. არადა, იგი მშრომელთა შორის გამაჯანსაღებელი ღონისძიებების დანერგვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა...

მშთ კომპლექსის მრავალჭიდში რესპუბლიკური პირველობა სამ ჯგუფად ჩატარდა — საწარმოთა ფიზკულტურული კოლექტივების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სოფლის ორგანიზაციებისათვის. პრიზიორები გახდნენ: საწარმოთა კოლექტივებს შორის — „სინათლე“ — 451 ქულა, „მეგობრობა“ — 388, „უშბა“ — 379; უმაღლეს სასწავლებლებში — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი — 224, ფიზკულტურის ინსტიტუტი — 206, თსუ — 187; სოფლის კოლექტივებს შორის — რუსთავის მეღორეობის საჯიშე მეურნეობა — 523, ზედა ეწერის (ზუგდიდის რაიონი) მეურნეობა — 238 და საწირის (ტყიბული) კოლმეურნეობა — 212.

ამ მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ რესპუბლიკური შეჯიბრებისთვის ყველაზე კარგად მომზადებულან მეღორეობის საჯიშე მეურნეობის ფიზკულტურელები, რომლებმაც საუკეთესო შედეგი მოიპოვეს.

საპრიზო ადგილები განაწილდა, მაგრამ თუ ტურნირს გავაანალიზებთ, დავინახავთ, რომ უმაღლესი სასწავლებლების ჯგუფში სარბიელზე ასე თუ ისე სრული გუნდით

მხოლოდ დასახელებული სამი კოლექტივი გამოვიდა, სამედიცინო ინსტიტუტი 2 კაცით წარსდგა ასპარეზობაზე, რესპუბლიკის სხვა სასწავლებლებმა კი შეჯიბრებაში მონაწილეობას თავი აარიდეს. სოფლის კოლექტივებს შორის 4 ორგანიზაცია იბრძოდა გამარჯვებისთვის...

რესპუბლიკის საწარმოების, დაწესებულებების, სასწავლებლების დიდ უმრავლესობაში მშთ მრავალჭიდის დანერგვის დონე ჯერ კიდევ იმდენად დაბალია, რომ მეოთხე და მეხუთე საფეხურების ნიშნოსანთა ექვსკაციანი გუნდების გამოყვანაც არ შეუძლიათ. („ტრუდის“ პრიზის გათამაშებაში მეოთხე საფეხურის I და II ასაკის და მეხუთე საფეხურის მრავალჭიდელი 3-3 ქალი და ვაჟი გამოდის).

ახლა პირადი პირველობის შესახებ: მონაწილეებმა შედარებით მაღალ შედეგებს მეოთხე საფეხურის I ასაკობრივი ჯგუფის სპორტსმენთა შეჯიბრებაში მიაღწიეს: ვაჟთა შორის ვ. პოლოსიანმა (სპორტკლუბი „მეგობრობა“) საბოლოოდ 123 ქულა მოაგროვა და 2 ქულით აჯობა ი. მოროზოვს („სინათლე“). მესამე იყო ვ. ვარდენიძე (ბათუმის ხის დამმუშავებელი კომბინატი) — 118. სწორედ ვარდენიძემ გამოიჩინა თავი, რომელმაც ხელყუმბარის ტყორცნაში აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი (61,30 მ.) აჩვენა,

ქალთა შორის აშკარა იყო მეღორეობის საჯიშე მეურნეობის წარმომადგენლის ლ. აბიკეევას უპირატესობა — 113 ქულა. მან ყველაზე უკეთეს შედეგს 1000 მეტრზე კროსში [illegible] ლ. ჟავორონკოვამ (ბათუმის ხის დამმუშავებელი კომბინატი) კი მოიგო 100 მეტრზე რბენა და ხელყუმბარის ტყორცნა, მაგრამ აბიკეევა სხვა სახეობებში უფრო სტაბილურად გამოვიდა და პირველი ადგილიც მას ხვდა წილად. რუსთაველმა მრავალჭიდელმა 12 ქულით ჩამოიტოვა მეორე პრიზიორი ე. გაბზინა („მეგობრობა“) და 25-ით — მ. გუნბა („ფეიქარი“).

ლ. აბიკეევას თანაგუნდელს, 44 წლის მ. ქვარაიას (იგი მეხუთე საფეხურის ნიშნოსნებში ასპარეზობდა) ბადალი არ ჰყავდა 60 მეტრზე რბენაში (7,8), ხელყუმბარის ტყორცნაში (42,90), ტყვიის სროლაში (85 ქულა). სამდღიანი ასპარეზობის ჯამში (87 ქულა) მან 5 ქულით აჯობა მეორე ადგილზე გამოსულ ბ. მეგედს („სინათლე“). მესამე იყო მ. კოგანი (სპორტკლუბი „განთიადი“) — 73.

სხვა ტექნიკური შედეგები: მეოთხე **საფეხურის II ასაკობრივი ჯგუფი. ქალები.** ს. ნოვოსელცოვა (სხი) — 87, ლ. შუმილინა (მეღორეობის მეურნეობა) — 69, ვ. ანიკინა („უშბა“) — 53. **ვაჟები.** ვ. სუხინენკო („მეგობრობა“) — 102, ვ. ჭარბაძე (სხი) — 94, ვ. გავრინი (მეღორეობის მეურნეობა) — 94. **მეხუთე საფეხური. ქალები:** ლ. ჯინჯიხაშვილი („სინათლე“) —86, ვ. გელაშვილი (მეღორეობის მეურნეობა) — 58, ლ. ცხომელიძე (ბათუმის სავაგონო დეპო) — 45.

ნ. თაკვარელია.

* * *

სურათებზე: დისტანციაზე; შეჯიბრების მონაწილენი მარცხნიდან — ლ. აბიკეევა, ს. ნოვოსელცოვა, ლ. ჯინჯიხაშვილი და დ. ფორჩხიძე (საწირე) ერთმანეთს უზიარებენ შთაბეჭდილებებს; შეჯიბრების მთავარი მსაჯი ვ. ვაშაკიძე (დგას) და მსაჯი თ. დათაძე ამოწმებენ შედეგს (მარცხენა ფოტო).

ავტორის ფოტოები.

„დელისი“ დახმარებას ითხოვს

როგორც ცნობილია, ვაჟა-ფშაველას პროსპექტის ბოლოში, ჩრდილოეთით მდებარე ფერდობზე არსებულ მოედანს, სპორტულ-გამაჯანსაღებელი კლუბი „დელისი“ უწოდეს, სადაც კვლავ დიდი ხალისით მიმდინარეობს გამაჯანსაღებელი ვარჯიში, როგორც მოედნის ეგზოტიკა ადასტურებს, დიდი შრომატევადი სამუშაოები ყოფილა ჩატარებული. ამ სასარგებლო წამოწყების თაოსნის ტერენტი ბახტაძის გარშემო სპორტის მოყვარულ მრავალ სხვადასხვა დარგის სპეციალისტს და მშრომელ ადამიანს მოუყრია თავი, რომელთაც სიზარმაცე დაუმარცხებით, რაც იქიდან ჩანს, რომ ვარჯიშობენ როგორც დილით (6 საათიდან), ისე საღამოს საათებში. მათ იციან, რომ ფიზიკური ვარჯიში ერთ-ერთი პროფილაქტიკური ღონისძიებაა ავადმყოფობის თავიდან ასაცილებლად.

კარგ დასაწყისს კარგი გაგრძელება სჭირდება. იმისათვის, რომ უფრო სრულყოფილი იყოს ეს დიდმნიშვნელოვანი საქმე, სასურველია დროულად იქნეს შესრულებული შემდეგი მოთხოვნები: 1. „დელისის“ სტადიონზე დაიდგას პატარა ჯიხური, 2. გაიხუროს ქარის მიერ დაზიანებული საწვიმარი, 3. მოედანზე დაიდგას განათების ერთი წერტილი, 4. გაყვანილი იქნეს წყლის ონკანი, 5. შეკეთდეს მოედნის მავთულბადეები...

იმედია, რომ ეს მოთხოვნები შესრულდება თუ სახლმმართველობის სათანადო სარემონტოსამშენებლო სამმართველო დროულად მიიღებს საჭირო ზომებს.

ი. სალაძე,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, სპორტის ვეტერანი.

● ფეხბურთი

უმაღლესი ლიგა

სტატისტიკოსის ბლოკნოტში

მოგვყავს სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის 24-ე ტურის ტექნიკური მონაცემები.

ასკ რ. — „დინამო" თბ. 0:1 (0:0). დინამოელთა შემადგენლობას წინა ნომერში ვიტყობინებოდით. როსტოველთა რიგებში იყვნენ: რადაევი, გონჩაროვი, ანდრიუშჩენკო, იაშინი, ზუევი, ლაკტიონოვი, ვ. კუზნეცოვი, ანდრეევი, ს. კუზნეცოვი, ვორობიოვი, ბალახნინი (ზავაროვი, 46 წუთი).

„ლოკომოტივი" — „არარატი" 1:3 (0:1). ბურთები გაიტანეს: ერევნელებმა კასაბოლიანმა (მე-9 წუთი), სააკიანმა (60), მელიქიანმა (84) და მოსკოველმა ბადუსოვმა (72).

დუბლიორები — 0:0.

„ჩერნომორეცი" — „ნეფთჩი" 0:1 (0:0). ერთადერთი ბურთი პენალტით გაიტანა პონომარიოვმა (80).

დუბლიორები — 3:3.

„შახტიორი" — „ფახთაქორი" 2:1. (1:0). გოლები გაიტანეს: დონეცკელმა ბონდარენკომ (40 და 66) და იაკუბიკმა (88).

გაფრთხილებულია ტაშკენტელი მ. მაჩაიძე.

დუბლიორები — 2:0.

„ყუბანი" — „დინამო" კ. 1:1 (0:0). ბურთები გაიტანეს: კიეველმა კოლოტოვმა (62) და ლაგოიდამ (81, პენალტით).

დუბლიორები — 0:4.

„დინამო" მ. — „ტორპედო" 1:1 (1:1). გოლები გაიტანეს: დინამოელმა გაზაევმა (17) და ვასილიევმა (27).

დუბლიორები — 1:0.

„სპარტაკი" — „დინამო" მნ. 2:1 (1:0). ბურთები გაიტანეს: სპარტაკელებმა იარცევმა (35), რომანცევმა (80) და დინამოელმა იანუშევსკიმ (78).

გაფრთხილებულნი არიან მინსკელები კურნევი და იანუშევსკი.

დუბლიორები — 0:0.

„კარპატი" — „ქაირათი" 0:0.

დუბლიორები — 1:0.

„ზენიტი" — ცსკა 1:0 (0:0). გამარჯვების მომტანი გოლი გაიტანა მელნიკოვმა (78).

გაფრთხილებულია ლენინგრადელი გოლუბევი.

დუბლიორები — 1:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 26 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინ." კ.	24	16	4	4	46—15	36
„სპარტ."	24	13	9	2	33—14	35
„ზენიტი"	24	11	8	5	36—30	30
„შახტ."	24	10	8	6	34—29	28
ცსკა	24	10	8	6	25—22	28
„დინ." თბ.	24	11	5	8	34—23	27
„ჩერნ."	24	9	6	9	23—27	24
„დინ." მნ.	24	7	12	5	30—29	24
„არარ."	24	7	10	7	27—27	24
ასკ რ.	24	8	7	9	25—25	23
„ნეფთ."	24	7	8	9	22—26	22
„ქაირ."	24	7	8	9	21—31	22
„ყუბანი"	24	6	8	10	24—28	20
„ტორპ."	24	6	8	10	18—23	20
„დინ." მ.	24	4	11	9	20—26	18
„ფახთ."	24	5	7	12	17—28	17
„ლოკომ."	24	5	6	13	24—35	16
„კარპ."	24	4	7	13	15—36	15

დუბლიორთა მატჩი

გუშინ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე შედგა თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის „ლოკომოტივის" დუბლიორთა მატჩი. გაიმარჯვეს მასპინძლებმა 3:0. ბურთები გაიტანეს: მეშკოვმა (29-ე წუთი), ჟორდანიამ (47) და ქვანიამ (73). „დინამო" ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: მესხია, მუჯირი, მელიქია, ქორიძე, თავაძე, კორძალიძე, ჯოხაძე, ჟორდანია, ქვანია, ცავა, მეშკოვი.

II ლიგა

25 სექტემბერს გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო პირველობის მორიგი ტურის მატჩები. ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ რესპუბლიკაში ჩატარებულ შეხვედრათა შესახებ.

„ლოკომოტივი" (სამტრედია) — „ავტომობილისტი" (მინგეჩაური) 2:0 (1:0)

სტუმრებმა თავიდანვე მეტოქეთა მჭიდრო „მეურვეობას" მიმართეს, რაც დროდადრო უხეშობაში გადადიოდა. მასპინძლები მობილიზებულად, ენერგიულად მოქმედებდნენ და ადვილად აულეს ალყა მოწინააღმდეგეთა თამაშს. 27-ე წუთზე ძაგნიძის ღრმა რეიდის წყალობით გადამწყვეტ პოზიციაზე გავიდა დარჯანია, რომელმაც ბურთი ძელს მოახვედრა. ბურთს მიუსწრო ტესლენკომ და გოლი თითქოს გარდაუვალი იყო, მაგრამ მეკარე კრამარენკოს აკრობატულმა ნახტომმა იხსნა სტუმრების კარი აშკარა საფრთხისგან. რკინიგზელმა ფეხბურთელებმა 44-ე წუთზე მაინც შეძლეს კრამარენკოს კარის აღება: საჯარიმო მოედანში ხელით თამაშისათვის დაინიშნა 11-მეტრიანი დარტყმა, რომელიც დარჯანიამ ზუსტად შეასრულა — 1:0.

შესვენების შემდეგ იმავე დარჯანიამ ოსტატურად ითამაშა და 65-ე წუთზე თავური დარტყმით ანგარიში ორამდე გაზარდა. ახლა რკინიგზელებს დარჩენილი ორი მატჩიდან ერთი ქულაც ჰყოფნით, რომ მეცხრე ზონის გამარჯვებულები გახდნენ.

ა. სირაძე.

„მეტალურგი" (რუსთავი) — „შირაკი" (ლენინაკანი) 2:1 (2:0)

მასპინძლებმა თავიდანვე შეუტიეს მეტოქეს და მას ამოსუნთქვის საშუალება არ მისცეს. 35-ე წუთზე ამეღიანის კარგი გადაცემიდან ალადაშვილმა გახსნა ანგარიში. 4 წუთის შემდეგ რუსთაველ ავაქიანს უხეშად ეთამაშნენ საჯარიმო მოედანზე და გოგუაძემ ორამდე გაზარდა ანგარიში.

შესვენების შემდეგ მასპინძლებმა საქმე მოთავებულად ჩათვალეს და ყურადღება მოადუნეს, რისთვისაც დაისაჯნენ კიდეც. 67-ე წუთზე კირაკოსიანმა ერთი ბურთი გაქვითა.

რ. გაბრიჩიძე.

* * *

ამ ტურის სხვა შედეგები ასეთია: „ყარაბახი" (სტეფანაკერტი) — „დინამო" (სოხუმი) 2:0, „არაბკირი" (ერევანი) — „დინამო" (ზუგდიდი) 2:0, „არაზი" (ნახიჩევანი) — „კოლხეთი" (ფოთი) 1:1, „ხაზარი" (ლენქორანი) — „დინამო" (ბათუმი) 1:0, „პროგრესი" (კიროვაბადი) — „კოლხოზჩი" (აშხაბადი) 3:2, „დილა" (გორი) — „კოტაიკი" (აბოვიანი) 1:2.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 27 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ლოკომ."	28	18	6	4	51—22	42
„კოტ."	28	17	4	7	47—24	38
„არაბკ."	28	15	4	9	47—32	34
„ხაზარი"	28	12	7	9	34—26	31
„კოლხზ."	28	13	3	12	44—37	29
„დინ." ს.	28	13	3	12	39—31	29
„კოლხ."	28	13	3	12	37—36	29
„პროგრ."	28	13	2	13	37—40	28
„ავტომ."	28	11	6	11	37—35	28
„დილა"	28	12	3	13	48—51	27
„ყარაბ."	27	11	4	12	34—36	26
„მეტალ."	28	10	4	14	35—41	24
„დინ." ბ.	28	9	4	15	29—47	22
„დინ." ზ.	28	9	2	17	27—55	20
„შირაკი"	27	4	12	11	26—39	20
„არაზი"	28	6	7	15	23—51	19

● კალათბურთი

დაუმარცხებლად

იუგოსლავიის ქალაქ ბანია-ლუკაში გაიმართა კალათბურთელ ქალთა კონტინენტის პირველობის ნახევარფინალური შეხვედრათა მორიგი ტური. საბჭოთა ნაკრებმა მოუგო პოლონეთის სპორტსმენებს (94:40) და ახლა იგი ერთადერთი კოლექტივია, რომელსაც მარცხის სიმწარე არ განუცდია. საბჭოთა ნაკრებმა ამ გამარჯვებით გაინაღდა ფინალში თამაშის უფლება.

უნგრელებმა წააგეს რუმინელებთან — 59:69. ბულგარეთისა და ჰოლანდიის გუნდების მატჩში ჰოლანდიელებმა იმარჯვეს — 83:81. იუგოსლაველებმა დაამარცხეს ჩეხოსლოვაკიელები — 80:67.

საბჭოთა სპორტსმენებმა ნახევარფინალის მესამე მატჩში მორიგი გამარჯვება იზეიმეს: ბულგარეთის სპორტსმენები დაამარცხეს ანგარიშით 119:63. იმავე დღეს მასპინძლებმა — იუგოსლავიის კალათბურთელებმა მოუგეს რუმინელებს — 78:53.

● სამოდელო სპორტი

სარეკორდო სისწრაფით

სიმფეროპოლში 4 დღეს გაგრძელდა საკავშირო საშემოდგომო შეჯიბრება ჯგუფსამოდელო სპორტში. ამ ასპარეზობაში მსოფლიოს მომავალი წლის ჩემპიონატის (იგი გდრ-ში ჩატარდება) საგზურებიც თამაშდებოდა.

რადიოსამართავი სწრაფმავალი მოდელების კლასში კიეველი ა. ლანცმანის მიერ დამზადებულმა მოდელმა საკავშირო რეკორდი დაამყარა — 17,270 წამი. ეს ნახევარი წამით აღემატება მსოფლიო მიღწევას. 2,5 კბსმ-ის მოცულობისძრავიანი საკორდო სწრაფმავალი მოდელებით შეჯიბრებაში საკავშირო რეკორდით გაიმარჯვა ვოლგოგრადელ ვ. პოგორელოვის ნამუშევარმა (166,667 კმ საათში), ვოლგოგრადელ ა. სამოლენკოვის 10 კბსმ-ის ძრავიანი მოდელის სისწრაფემ 158,730 კმ შეადგინა. ესეც საკავშირო მიღწევაა.

● ველოსპორტი

მიღწევა ტრეკზე

ჩეხოსლოვაკიელმა სპორტსმენმა კ. რანდაკმა პრაღის ტრეკზე 100 კილომეტრზე რბოლაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 2 საათი, 18 წუთი და 1,85 წამი აჩვენა. ეს 40 წამზე მეტით აღემატება დანიელი ლუნდას 9 წლის წინანდელ მიღწევას.

● ხელბურთი

ხვალ მოსკოვში

სტარტს აიღებს ხელბურთში სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალური ტურნირი, რომელიც წრიული სისტემით გაიმართება.

ამ დასკვნითი მატჩების კალენდარი ასეთია:

28 სექტემბერი. ასკ (კიევი) — ასკ (მინსკი), **„ბურევესტნიკი" (თბილისი) — „კუნცევო" (მოსკოვი).**

29 სექტემბერი. **ასკ (კიევი) — „ბურევესტნიკი"**, ასკ (მინსკი) — „კუნცევო".

30 სექტემბერი. **„ბურევესტნიკი" — ასკ (მინსკი)**, „კუნცევო" — ასკ (კიევი).

5 გუნდის მონაწილეობით

ვილნიუსში დაიწყო ხელბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ადგილობრივ „ეგლესთან" ერთად მონაწილეობენ: კაუნასის „ჟალგირისი", დანიის, სსრ კავშირის I და ახალგაზრდული ნაკრები გუნდები.

მასპინძლებმა კარგად აიღეს სტარტი და დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხეს დანიელი მეტოქეები — 14:12 (6:7). ტურნირი 5 დღეს გასტანს.

● ჩოგბურთი

49-ე საკავშირო...

ტაშკენტის „დინამოს" საჩოგბურთო სტადიონზე სტარტი აიღო საბჭოთა კავშირის 49-ე ჩემპიონატმა. ოქროს მედლებისთვის ბრძოლაში 64 ვაჟი და 48 ქალი ჩაება. პირველობის მაძიებელთა შორის არიან ევროპის წლევანდელი ჩემპიონები — მოსკოველი ვ. ბორისოვი და დონეცკელი ე. ელისეენკო; ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონები — მოსკოველი ო. მოროზოვა და თბილისელი ა. მეტრეველი, უიმბლდონის გოგონათა ტურნირში გამარჯვებული ნ. ჩმირიოვა (მოსკოვი) და სხვანი.

გაიმართა პირველი შეხვედრები. მეტრეველმა იოლად მოუგო ახალგაზრდა კიეველ ს. გრიმანსკის —6:0, 6:2. შარშან ახალგაზრდების ევროპულ ჩემპიონატში გამარჯვებულმა ს. გრუზმანმა (ლვოვი) დაამარცხა მოსკოველი ვ. ბაკულევი — 6:2, 6:1. სენსაციებიც იყო: ერევნელმა გ. კარაპეტიანმა, რომელსაც „რანგთა ტაბელში" 48-ე ადგილი უკავია, დაამარცხა საერთაშორისო კლასის ოსტატი ა. კაცნელსონი (მინსკი), ხოლო 17 წლის მოსკოველმა დ. ლომანოვმა სძლია მინსკელ სპორტის ოსტატს გ. ზაზულიას.

მსოფლიო ჩემპიონატის ნიშნით

მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონატის (ესპანეთი) მესამე საკვალიფიკაციო ჯგუფში სსრ კავშირის ნაკრების მეტოქეებმა მორიგი მატჩები გამართეს.

თურქეთის გუნდმა უმასპინძლა ისლანდიის კოლექტივს და დამარცხდა — 1:3, გოლები გაიტანეს: მასპინძელთაგან — ფატიხმა (11-მეტრიანით), სტუმრებიდან — გადლოგსონმა, გუდმუნდსონმა და ტორდარსონმა. ისლანდიელები მორიგ შეხვედრას გამართავენ 15 ოქტომბერს სსრ კავშირის ნაკრებთან.

ოსლოში ფრედ (1:1) ითამაშეს ნორვეგიისა და რუმინეთის ნაკრებმა კოლექტივებმა, რომლებიც მეოთხე ქვეჯგუფში გამოდიან. ანგარიში გახსნა რუმინელმა კამატარომ. წონასწორობა აღადგინა ფარეიდმა.

პირველ ქვეჯგუფში ავსტრიის გუნდმა ფინეთის ფეხბურთელებს სტუმრად მოუგო ანგარიშით 2:0.

უცხოეთის სტადიონებზე

ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები...

ბელგია

IV ტურში ყველაზე უხვმოსავლიანი გამოდგა „ლირსისა" და „ბეერშოტას" მატჩი, რომელიც მოიგო „ლირსმა" — 4:3. „ლირსის" მოთამაშემ, ევროპის № 1 სნაიპერმა ვანდენბერგმა პირველი „ჰეთ თრიკი" შეასრულა.

4 ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმით ერთპიროვნულად ლიდერობს ბრიუსელის „ანდერლეხტი", რომელსაც ახალი სეზონიდან სათავეში ჩაუდგა იუგოსლაველი სპეციალისტი ივიჩი.

გფრ

მიუნხენის „ბაიერნისა" და „ჰამბურგერ შპორტფერაინის" შარშანდელი მეტოქეობა წელსაც გრძელდება.

VI ტურში „ბაიერნმა" შინ იოლად მოუგო „ბაიერს" (ლევერკუზენი) — 3:0. ხოლო ჰამბურგელებმა ფრედ (2:2) ითამაშეს სტუმრად მენხენგლადბახში „ბორუსიასთან". ამის შემდეგ მათ 10-10 ქულა მოაგროვეს და გათამაშების ცხრილში პირველ-მეორე ადგილებზე არიან.

სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „აინტრახტი" (მაინის ფრანკფურტი) — „მიუნხენ 1860" 2:1, „კიოლნი" — „ბოხუმი" 2:2, „კაიზერსლაუტერნი"—„დუისბურგი" 1:1, „ნიურნბერგი" — „კარლსრუე" 5:0, „ფორტუნა" — „შალკე-04" 3:3, „ბორუსია" (დორტმუნდი)—„არმინია" 5:0, „ბაიერი" (უერდინგენი) — „შტუტგარტი" 3:3.

ესპანეთი

I ტურის შედეგები ასეთია: მადრიდის „რეალი" — „ატლეტიკო" (ბილბაო) 7:1, „უნიონი" (ლას-პალმასი) — „ატლეტიკო" (მადრიდი) 1:1, „რეალი" (სან-სებასტიანი) — „ოსასუნა" 2:1, „ვალენსია" — „ბეტისი" (სევილია) 3:1, „ჰერკულესი" (ალიკანტე) — „სპორტინგი" (ხიხონი) 1:1, „ბარსელონა" — „ესპანიოლი" (ბარსელონა) 3:1, „უნიონი" (სალამანკა) — „სევილია" 2:0.

პოლონეთი

VI ტურში ლოძის „ვიძევმა" კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმა — სტუმრად ზაბჟეს „გურნიკთან" — 2:1 და 10 ქულით ერთპიროვნული ლიდერია. 5 გუნდს 8-8 ქულა აქვს, მათ შორის შარშანდელ ჩემპიონ „შიმბიერკის".

უნგრეთი

VIII ტურში ლიდერმა „ფერენცვაროშმა" ანგარიშით 4:1 სძლია „დებრეცენს" და ახლა 12 ქულა აქვს. 11 ქულით მეორე ადგილზეა შეკეშფეჰერვარის „ვიდეოტონი".

ჩეხოსლოვაკია

V ტურის შემდეგ 8 ქულით წინ არის პრაღის „დუკლა". 7-7 ქულა მოაგროვეს პრაღის „ბოჰემიანსმა", ამავე ქალაქის „სპარტამ" და ჩემპიონმა „ბანიკმა" (ოსტრავა).

რუმინეთი

VII ტურის შემდეგ 10-10 ქულით წინ არიან ბუქარესტის „დინამო", კრაიოვას „უნივერსიტატეა" და „კორვინული" (ჰუნედოარა), ამასთან, პირველ ორს თითო მატჩი აქვს გამოტოვებული. „კორვინული" პირველი ლიგის დებიუტანტია, ამიტომ მისი შედეგი ნამდვილი სიურპრიზია.

ბულგარეთი

V ტურში ლიდერთა „დუუმვირატი" დაირღვა. პლოვდივის „თრაკიამ" წააგო (1:3) სოფიაში „ლევსკი-სპარტაკთან" და მეორე ადგილზე გადავიდა (8 ქულა), მაშინ, როდესაც ცსკა „სეპტემვრიისკო ზნამემ" ანგარიშით 7:0 დაამარცხა „ბეროე" (სტარა ზაგორა) და 10 ქულით ერთპიროვნული ლიდერია.

რედაქტორის მოადგილე
უ. ჩიჩინაძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-53; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-55; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380696, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო ქორპუსში, ხოჭარაულის, 29.
ИНДЕКС 66435
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17
უე 08236